მამუკა საღარეიშვილმა კასპში მცხოვრები სოციალრად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები მოინახულა

27 მაისი 2021

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მამუკა საღარეიშვილმა კასპში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს სასურსათო პაკეტები გადასცა. როგორც რწმუნებულმა აღნიშნა, სახელმწიფო პროგრამების გარდა, მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის გამოჩენა, განსაკუთრებით კი პანდემიის პირობებში. ,,მნიშვნელოვანია, რომ საჯარო და კერძო სექტორმა მჭიდროდ ვითანამშრომლოთ იმ ადამიანების დახმარების მიზნით, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ, განსაკუთრებით პანდემიისას.“ - აღნიშნა რწმუნებულმა.

მრავალშვილიან სოციალურად დაუცველი ოჯახებს საკვები პროდუქტები ,,წითელი ჯვრის საზოგადოების" საქველმოქმედო პროგრამის ფარგლებში გადაეცათ.